



ოლიმპიადა „ზურგჩანთა“

I ტური

ინსტრუქცია

შეგახსენებთ, რომ ოლიმპიადაში მონაწილეობისათვის საჭიროა წინასწარი რეგისტრაცია წინამდებარე ინსტრუქცია განკუთვნილია უკვე რეგისტრირებული მოსწავლეებისათვის.

1. შებრძანდით ონლაინ სკოლა „ზურგჩანთას“ ვებგვერდზე:
<https://chemistry.ge/school/index.php>

აუტორიზაცია რეგისტრაცია

მთავარი პროგრამები ცხრილი სწავლება შეფასება ოლიმპიადა ჩვენ ისწავლე ჩვენთან


მასწავლებლები რა არის დისტანციური სკოლა რას ბთავაზობთ

სკოლა "ზურგჩანთა" გათვალისწინებულია ქიმიის დისტანციურ სწავლებას. ეს არის სკოლა, რომელიც მუდამ თქვენს გვერდითაა. ჩვენთან თქვენ შეძლებთ შეისწავლოთ ქიმია საფუძვლიანად, შეასრულოთ საკლასო თუ საშინაო დავალებები და შეამოწმოთ თქვენი ცოდნა დამოუკიდებლად.


საქართველოს პრიფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაცია – © 2020. ყველა უფლება დაცულია.

273708
243

2. მოძებნეთ მთავარ მენიუში “ოლიმპიადა” და დააწკაპუნეთ:



3. თქვენ გადახვალთ ოლიმპიადის ვებგვერდზე. მოცემულ გვერდზე მთლიანად შეიცვლება მთავარი მენიუ, რომლის საშუალებითაც სადაც შეგიძლიათ გაეცნოთ ოლიმპიადის შესახებ დეტალურ ინფორმაციას. უკან, ონლაინ სკოლის ვებგვერდზე დაბრუნება შეგიძლიათ მენიუს ოფციდან „სკოლა“ არჩევით.



ოლიმპიადა

ქიმიის ეროვნული ოლიმპიადა "ზურგჩანთა" არის მრავალსაფეხურიანი კონკურსი, რომლის მიზანია საშუალო სკოლის მოსწავლეებში ქიმიის საგნის პოპულარიზაცია და საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობის ხელშეწყობა.

ოლიმპიადა გაძლევა შესაძლებლობას:


- გამოსცადოთ საკუთარი თავი როგორც ქიმიის საკითხების ღრმა ცოდნაში, ისე კრიტიკულ აზროვნებაში.
- მიიღოთ მნიშვნელოვანი გამოცდილება საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობის მისაღებად.
- განივითაროთ პრობლემის გადაჭრის კრიტიკული უნარები და გამოსცადოთ თქვენი ცოდნა ახალ, სრულად ***

მნიშვნელოვანი თარიღები


14-02-2022	- რეგისტრაციის დაწყება
11-03-2022	- რეგისტრაციის დასრულება
12-03-2022	- I ტური (VIII და IX კლასები)
13-03-2022	- I ტური (X-XII კლასები)
26-03-2022	- II ტური
16-04-2022	- III ტური
17-04-2022	- დაჯილდოება

სრულად ***


4. პირველ ტურში მონაწილეობისათვის მთავარ მენიუში მოძებნეთ „ტურები“ და შემდეგ „I ტური“.



5. სისტემა მოგთხოვთ ავტორიზაციას. ჩაწერეთ, რეგისტრაციის დროს გამოყენებული ელ-ფოსტა და პაროლი.




6. ავტორიზაციის წარმატებით გავლის შემთხვევაში სისტემა ავტომატურად იმ კლასის საგამოცდო ოთახში, რომელ კლასშიც გაქვთ რეგისტრაცია გავლილი. ავტორიზაციის წარმატებით გავლის შემთხვევაში ეკრანის (ვებგვერდის) ზედა მარჯვენა კუთხეში გამოჩნდება თქვენი მუილი და ღილაკი „გამოსვლა“.



7. თუ ავტორიზაციას გაივლით ტურის დაწყებამდე, სისტემა შეგატყობინებთ ტურის დაწყების ზუსტ დროს და შემდეგ ეტაპზე აღარ გადაგიყვანთ. ამიტომ ტურში მონაწილეობისათვის საჭიროა ავტორიზაცია გაიაროთ უშუალოდ ტურის დაწყებისთანავე (ან განაახლოთ ვებგვერდი F5 ღილაკით).

(ჩვენი რჩევაა, გაიაროთ სატესტო ავტორიზაცია ტურის დაწყებამდე და პრობლემის შემთხვევაში გვაცნობოთ)

ტურის დაწყების შემდეგ თქვენ ჩაგეტვირთებათ შემდეგი გვერდი:



ტურის დასაწყებად დააწეეთ ღილაკს „დაწყება“.

ყურადღება! თუ თქვენ გამოიყენებთ ღილაკს „დაწყება“, შემდეგ აღარ გაქვთ უფლება დატოვოთ საგამოცდო ოთახი, სანამ არ დაასრულებთ ტურს. ნებისმიერი სხვა მოქმედება: „უკან გამოსვლა“, „გვერდის განახლება (refresh, reload)“, „გვერდის დახურვა“ და სხვა, გამოიწვევს თქვენს მოხსნას გამოცდიდან. - სისტემა არ დაიმახსოვრებს თქვენს მიერ დაგროვილ ქულებს!

8. დილაკი „დაწყება“ გააქტიურების შემდეგ ეკრანზე ჩაგეტვირთებათ საგამოცდო საკითხები. ყურადღებით წაიკითხეთ კითხვა და შესაბამისი პასუხის დააფიქსირეთ პასუხისათვის გამოყოფილ ფანჯარაში.

გახსოვდეთ, თქვენ **გაქვთ** უფლება:

- კითხვებს უპასუხოთ ნებისმიერი თანმიმდევრობით
- შეცვალოთ უკვე დაფიქსირებული პასუხი
- იმოძრაოთ ეკრანზე „ზევით-ქვევით“ - ნებისმიერ დროს დაუბრუნდეთ წინა ამოცანას
- გამოიყენოთ „პერიოდულობის ცხრილი“, „ელემენტთა აქტიურობის ცხრილი“ და „ხსნადობის ცხრილი“, რომელიც მოცემულია ეკრანის მარჯვენა ზოლში. მოცემული რესურსები ახალ ფანჯარაში (ჩანართში) გაიხსნება და შესაბამისად თქვენი საგამოცდო ოთახის ფანჯარა არ დაიხურება.
- დაუკავშირდეთ ორგანიზატორებს ზუმის საშუალებით და მიიღოთ ნებისმიერ ტექნიკური სახის დახმარება

გახსოვდეთ, თქვენ **არ გაქვთ** უფლება:

- დახუროთ საგამოცდო ოთახის ვებ გვერდი
- განაახლოთ იგი (Refresh, Reload)
- გამოხვიდეთ უკან

The screenshot shows an online exam interface. On the left, there are question cards. On the right, there is a sidebar with various resources. Two yellow callout boxes provide additional information:

- დაუკავშირდით ორგანიზატორებს ზუმის საშუალებით და მიიღეთ ნებისმიერ ტექნიკური სახის დახმარება** (Connect to organizers via Zoom and receive any technical assistance).
- დამხმარე რესურსები: პერიოდულობის ცხრილი აქტიურობის მწკრივი ხსნადობის ცხრილი** (Support resources: Periodic table, activity series, solubility chart).

The sidebar on the right includes a Zoom meeting link (Meeting ID: 950 9425 7282, Passcode: zurgchanta), a periodic table, an activity series chart, and a solubility chart.

9. ტესტის ამოხსნის შემდეგ საბოლოო პასუხის დაფიქსირებისათვის დააწეეთ ღილაკს „დასრულება“.

ყურადღება! მოცემული ღილაკის გამოყენების შემდეგ თქვენ ვეღარ შეძლებთ წინა გვერდზე დაბრუნებას და პასუხების კორექტირებას.

ჩანერგეთ პასუხი 1-დან 4-მდე

4 სთ 37 წთ 35 წმ

დასრულება

10. ტურის დასრულების შემდეგ თქვენ მიიღებთ შეტყობინებას ეკრანზე თქვენს მიერ დაგროვილი ქულების შესახებ.

პირველი ტური

	ნაოდენობა	მაქსიმალური ქულა	თქვენი ქულა
დახურული კითხვები	20	20	0
ღია კითხვები	5	5	0
სულ	25	25	0
წარმატების %			0%

თქვენი შედეგები შენახულია. გისურვებთ წარმატებას შემდეგ ტურებზე.

შთაფარ გვერდზე გადასვლა

11. გადადით მთავრ გვერდზე, გამოდით სისტემიდან.



შემდეგ ტურში გადასვლასთან დაკავშირებით ინფორმაციას მიიღებთ ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

გისურვებთ წარმატებას.

ორგანიზაციები



მხარდებულებები



პროექტი ხორციელდება შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით
SPG-21-622